

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	22
4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია	22
5. ამონაგები და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	23
6. კომერციული ხარჯები	23
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
8. წმინდა საპროცენტო ხარჯი	24
9. ძირითადი საშუალებები	24
10. კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიცია	24
11. მარაგები	25
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
14. სესხები	27
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	28
16. არამაკონტროლებელი წილი	29
17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	31
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	35
19. პირობითი ვალდებულებები	36
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიქსორის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მიქსორის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთების ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენს სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა მოცემული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომელთა საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 10,028 ათასი და 11,346 ათასი ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე. ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად, 8,834 ათასი და 9,455 ათასი ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

ამასთან, დავადგინეთ, რომ პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხის გარდა, ქვემოთ განხილული საკითხი აუდიტის ძირითადი საკითხია, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

აუდიტის ძირითადი საკითხი	აუდიტორული პროცედურები
ამონაგების აღიარება და მასთან დაკავშირებული ფასდათმობები ჩვენ აუდიტის ძირითად საკითხად განვსაზღვრეთ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების, ბეტონი და ბეტონპროდუქტების მიწოდებას. ამონაგების აღიარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარიგების ფასის განსაზღვრაზე, რომელზეც არსებით გავლენას ახდენს მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ფასდაკლება, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობა, „თაროზე განთავსების საკომისიო“, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსები. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარების პოლიტიკა და დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შესაბამისად მე-2 და მე-5 შენიშვნაში.	ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს: • ჩვენ შევავსეთ ჯგუფის მიერ ამონაგების აღიარების პოლიტიკა იყო თუ არა შესაბამისობაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან, კერძოდ, ფასს 15-ის პირველად გამოყენებასთან მიმართებაში „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. • შევისწავლეთ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები; • ამონაგების მაფორმირებელი გატარებები დავადასტურეთ პირველადი დოკუმენტებით; • გამოვიკვლიეთ გარიგების ფასის განსაზღვრისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ინფორმაციის ადეკვატურობა და შეფასებების გონივრულობა; • ვიმსჯელეთ გარიგების ფასის განსაზღვრაში სათანადოდ იყო თუ არა გათვალისწინებული წარსული გამოცდილება და საქმიანობის პრაქტიკა. • მიმოვიხილეთ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღიარებული მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ფასდაკლებები, ბონუსები და სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობები, რომლისთვისაც ამონაგები აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნული ფასდაკლებები, ბონუსები და ფასდათმობები შევუდარეთ გარიგების ფასის განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებს; • შევისწავლეთ „თაროზე განთავსების საკომისიო“ პირობები. ვიმსჯელეთ აღნიშნული საკომისიო ხომ არ იყო დაკავშირებული მომხმარებლის მიერ ჯგუფისთვის გადაცემული განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისთვის.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვააქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური

იქნება, შეეცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მართვის უფლებით აღჭურვილ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მართვის უფლებით აღჭურვილ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიქსორის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მიქსორის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთების ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით. ჩვენს სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა მოცემული ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომელთა საბალანსო ღირებულება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 10,028 ათასი და 11,346 ათასი ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე. ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად, 8,834 ათასი და 9,455 ათასი ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

ამასთან, დავადგინეთ, რომ პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხის გარდა, ქვემოთ განხილული საკითხი აუდიტის ძირითადი საკითხია, რომლის შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

აუდიტის ძირითადი საკითხი	აუდიტორული პროცედურები
ამონაგების აღიარება და მასთან დაკავშირებული ფასდათმობები ჩვენ აუდიტის ძირითად საკითხად განვსაზღვრეთ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმელების, ბეტონი და ბეტონპროდუქტების მიწოდებას. ამონაგების აღიარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარიგების ფასის განსაზღვრაზე, რომელზეც არსებით გავლენას ახდენს მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ფასდაკლება, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობა, „თაროზე განთავსების საკომისიო“, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსები. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარების პოლიტიკა და დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შესაბამისად მე-2 და მე-5 შენიშვნაში.	ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს: • ჩვენ შევავსეთ ჯგუფის მიერ ამონაგების აღიარების პოლიტიკა იყო თუ არა შესაბამისობაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან, კერძოდ, ფასს 15-ის პირველად გამოყენებასთან მიმართებაში „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. • შევისწავლეთ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები; • ამონაგების მაფორმირებელი გატარებები დავადასტურეთ პირველადი დოკუმენტებით; • გამოვიკვლიეთ გარიგების ფასის განსაზღვრისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ინფორმაციის ადეკვატურობა და შეფასებების გონივრულობა; • ვიმსჯელეთ გარიგების ფასის განსაზღვრაში სათანადოდ იყო თუ არა გათვალისწინებული წარსული გამოცდილება და საქმიანობის პრაქტიკა. • მიმოვიხილეთ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღიარებული მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ფასდაკლებები, ბონუსები და სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობები, რომლისთვისაც ამონაგები აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნული ფასდაკლებები, ბონუსები და ფასდათმობები შევუდარეთ გარიგების ფასის განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებს; • შევისწავლეთ „თაროზე განთავსების საკომისიო“ პირობები. ვიმსჯელეთ აღნიშნული საკომისიო ხომ არ იყო დაკავშირებული მომხმარებლის მიერ ჯგუფისთვის გადაცემული განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისთვის.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც

შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მართვის უფლებით აღჭურვილ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მართვის უფლებით აღჭურვილ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ყუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2 ოქტომბერი 2019



მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	118,083	102,658
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	5	(75,563)	(59,827)
საერთო მოგება		42,520	42,831
კომერციული ხარჯები	6	(16,513)	(15,602)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(15,381)	(14,146)
გაუფასურების ზარალი	12	(103)	(445)
სხვა შემოსავალი		1,834	325
საოპერაციო მოგება		12,357	12,963
წმინდა საპროცენტო ხარჯი	8	(3,727)	(2,608)
ზარალი კაპიტალ მეთოდით აღრიცხული		(672)	-
ინვესტიციებიდან	10		
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		236	(4,180)
წმინდა მოგება		8,194	6,175
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		8,194	6,175
წმინდა მოგება მიკუთვნებული:			
დედა კომპანიის მფლობელებს		5,553	4,415
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		2,641	1,760
წმინდა მოგება		8,194	6,175
სრული შემოსავალი			
დედა კომპანიის მფლობელებს		5,553	4,415
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		2,641	1,760
სრული შემოსავალი		8,194	6,175

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ილია შიხაშვილი

ფინანსური დირექტორი _____ ანა ჩოჩელი

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	118,083	102,658
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	5	(75,563)	(59,827)
საერთო მოგება		42,520	42,831
კომერციული ხარჯები	6	(16,513)	(15,602)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(15,381)	(14,146)
გაუფასურების ზარალი	12	(103)	(445)
სხვა შემოსავალი		1,834	325
საოპერაციო მოგება		12,357	12,963
წმინდა საპროცენტო ხარჯი	8	(3,727)	(2,608)
ზარალი კაპიტალ მეთოდით აღრიცხული		(672)	-
ინვესტიციებიდან	10	236	(4,180)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		8,194	6,175
წმინდა მოგება		-	-
სხვა სრული შემოსავალი		8,194	6,175
სრული შემოსავალი		8,194	6,175
წმინდა მოგება მიკუთვნებული:			
დედა კომპანიის მფლობელებს		5,553	4,415
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		2,641	1,760
წმინდა მოგება		8,194	6,175
სრული შემოსავალი			
დედა კომპანიის მფლობელებს		5,553	4,415
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		2,641	1,760
სრული შემოსავალი		8,194	6,175

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 2 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ილია შიხაშვილი

ფინანსური დირექტორი



ანა ჩოჩელი

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	93,776	88,714
არამატერიალური აქტივები		343	300
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		3,069	49
კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები	10	3,129	3,801
სულ გრძელვადიანი აქტივები		100,317	92,864
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	21,839	20,193
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	19,647	18,520
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	8,559	1,200
სულ მიმდინარე აქტივები		50,045	39,913
სულ აქტივები		150,362	132,777
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		24,278	10,825
გაუნაწილებელი მოგება		27,222	22,783
არამაკონტროლებელი წილი	16	24,385	21,877
სულ კაპიტალი		75,885	55,485
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ობლიგაციები	14	24,750	-
სესხები	14	20,298	33,325
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		45,048	33,325
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	14	10,829	21,907
გადასახდელები კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებისთვის		-	3,888
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	18,600	18,172
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		29,429	43,967
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		150,362	132,777

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არა მაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2016	10,825	18,368	20,117	49,310
სრული შემოსავალი	-	4,415	1,760	6,175
31 დეკემბერი 2017	10,825	22,783	21,877	55,485
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება – ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 2)	-	(1,114)	(133)	(1,247)
გადაანგარიშებული ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	10,825	21,669	21,744	54,238
მფლობელების შენატანი კაპიტალში	13,453	-	-	13,453
სრული შემოსავალი	-	5,553	2,641	8,194
31 დეკემბერი 2018	24,278	27,222	24,385	75,885

მიქსორი ჯგუფი

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		8,194	6,175
კორექტირებები:		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია		12,024	10,617
გაუფასურების ხარჯი	12	103	445
ზარალი კაპიტალ მეთოდით აღრიცხული	10	672	-
ინვესტიციებიდან			
საპროცენტო შემოსავალი	8	-	(315)
საპროცენტო ხარჯი	8	3,727	2,923
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		182	286
ჯარიმის ვალდებულების პატიება	14	(344)	-
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(236)	4,180
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ		24,322	24,311
კაპიტალში ცვლილებამდე			
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:			
მარაგების ზრდა		(2,848)	(4,045)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(2,457)	(7,987)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)		(743)	1,603
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		18,274	13,882
გადახდილი პროცენტები	14	(4,571)	(2,659)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		13,703	11,223
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(17,120)	(9,070)
ძირითადი საშუალებების გასვლა		227	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(101)	-
გაცემული სესხის დაფარვა		-	686
შენატანი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებში		(3,731)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(20,725)	(8,384)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	14	135,886	5,490
სესხების დაფარვა	14	(134,981)	(9,342)
მფლობელების შენატანი კაპიტალში		13,453	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		14,358	(3,852)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		7,336	(1,013)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,200	2,018
საკურსო სხვაობის გავლენა		23	195
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		8,559	1,200

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიქსორი“ (შემდგომში ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 11 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ხანძთელის ქუჩა #1. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის რკინა-ბეტონის პროდუქტების წარმოება და წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მფლობელები	2018	2017
ცეზარ ჩოჩელი	42.12%	50%
იზოლდა ჩარიგოგდიშვილი	42.13%	50%
შპს ქისტოუნ ინვესტმენტს	15,75%	-

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	2018	2017	საბერაგო საქმიანობა
სს ქართული ლუდის კომპანია	საქართველო	63.5%	63.5%	ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმლის წარმოება და რეალიზაცია
შპს მიქსორცემენტი	საქართველო	100%	100%	უმოქმედო
შპს ინფრა კონსტრაქშენ მიქსორი	საქართველო	50%	50%	უმოქმედო
შპს ისანი XXI	საქართველო	50%	-	უმოქმედო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. მონაცემები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.2 ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი გადავიდა ფასს 9 და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვრის თარიღით. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 9 და ფასს 15, გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. ჯგუფმა შეაფასა ფასს 9-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად გაიზარდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 1,247 ათასი ლარით. ჯგუფის შეფასებით ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტის დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება ჯგუფის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ იჯარას და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო იჯარას სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპს. იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. ჯგუფი არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ჯგუფი აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებულ შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

2.4 ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ჯგუფის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ჯგუფის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციებს ჯგუფი აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღრიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად; კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. ჯგუფის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

თუ ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი წვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც ჯგუფის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ ჯგუფის მიერ მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდით ჯგუფი იმ მომენტიდან იწყებს, როდესაც ინვესტირებული საწარმო შეიძლება ჩაითვალოს მეკავშირე საწარმოდ ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოდ. მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ინვესტიციის შეძენის დროს წარმოშობილი სხვაობა (დადებითი თუ უარყოფითი), ინვესტიციის თვითღირებულებასა და მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილს შორის, აღრიცხება შემდეგნაირად:

ა) გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია მეკავშირე საწარმოსთან ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებთან, შეიტანება ამ ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. თუმცა, ამ გუდვილის ამორტიზაცია არ ხდება;

ბ) მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილის ნებისმიერი მეტობა ინვესტიციის თვითღირებულებაზე შეიტანება მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მოგებაში ან ზარალში ჯგუფის წილის გაანგარიშებაში შემოსავლის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ინვესტიცია იქნა შეძენილი.

თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოები და ჯგუფი მსგავს ოპერაციებსა და შემთხვევებში იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ხოლო ჯგუფი კაპიტალ-მეთოდს იყენებს მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, ხდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკათა დაახლოება და შესაბამისი კორექტირებების ჩატარება.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის მოთხოვნებს იმის განსასაზღვრად, რამდენად აუცილებელია გაუფასურების ზარალის აღიარება ჯგუფის წმინდა ინვესტიციის შესაბამისად მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში. რადგან მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში ფლობილი ჯგუფის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში შესული გუდვილის აღიარება ცალკე არ ხდება, ჯგუფი არ იყენებს გუდვილის გაუფასურებაზე ცალკე ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“-ს მოთხოვნებს. ამის ნაცვლად, ბასს 36-ის შესაბამისად გაუფასურებაზე მოწმდება ინვესტიციის, როგორც ერთი აქტივის, მთლიანი საბალანსო ღირებულება, მისი ანაზღაურებადი ღირებულების (უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის) შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, ყოველთვის, როდესაც ფასს 9-ის მოთხოვნების გამოყენება აჩვენებს, რომ ინვესტიცია შეიძლება გაუფასურებული იყოს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფი წყვეტს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას იმ დღიდან, როდესაც იგი წყვეტს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში და იმ დღიდან ინვესტიციას აღრიცხავს ფასს 9-ის შესაბამისად, თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები არ ხდება შვილობილი საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა. როდესაც ჯგუფი მნიშვნელოვან გავლენას კარგავს, იგი რეალური ღირებულებით აფასებს ინვესტიციას, რომელიც რჩება მას ყოფილ მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში. ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ განსხვავებას ნებისმიერი დარჩენილი ინვესტიციისა და მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში წილის ნაწილობრივი დათმობიდან მიღებული შემოსულობის რეალურ ღირებულებასა და მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის თარიღისთვის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას შორის.

როდესაც ჯგუფი კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი მათთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ყველა თანხას ისეთივე წესით ასახავს, როგორც მოთხოვნილია იმ შემთხვევაში, თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები უშუალოდ გაყიდვით დაკავშირებულია ან ვალდებულია. ამგვარად, თუ მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მიერ სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირებული იყო მოგებაში ან ზარალში შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლასთან დაკავშირებით, ჯგუფს ეს შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან გადააქვს მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა), როდესაც კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებზე. თუ ჯგუფის საკუთრების წილი მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში მცირდება, მაგრამ ეს ინვესტიცია ისევ მეკავშირე საწარმოს სტატუსს ინარჩუნებს, ჯგუფს მოგებაში ან ზარალში გადააქვს მხოლოდ წინა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის პროპორციული წილი.

ჯგუფი აგრძელებს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას მას შემდეგაც რაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში ხდება ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ან ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ხდება ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. ამ შემთხვევაში აღარ ხდება ინვესტიციის რეალური ღირებულებით ხელახალი შეფასება.

2.5 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.6 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფი ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილში, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

როდესაც ხელშეკრულებით დაპირებული ანაზღაურება მოიცავს ცვალებად თანხას, ჯგუფი აფასებს ანაზღაურების ოდენობას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს იგი დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, „თაროზა განთავსების საკომისიოს“, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. დაპირებული ანაზღაურება შეიძლება იმ შემთხვევაშიც იცვლებოდეს, როდესაც ჯგუფის უფლება ანაზღაურების მიღებაზე დამოკიდებულია სამომავლო მოვლენის მოხდენაზე ან არმოხდენაზე. მაგალითად, ანაზღაურების ოდენობა ცვალებადი იქნება, თუ პროდუქტი გაიყიდა უკან დაბრუნების უფლებით.

ცვალებადი ანაზღაურება ფასდება მოსალოდნელი ოდენობის მეთოდის გამოყენებით. მოსალოდნელი ოდენობა არის ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ანაზღაურების მნიშვნელობების ალბათობებით შეწონილი სიდიდეების ჯამი. ანაზღაურების მოსალოდნელი ოდენობა შეიძლება იყოს ცვალებადი ანაზღაურების სათანადო შეფასება, როდესაც ჯგუფის ანალოგიური მახასიათებლების მქონე ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. ჯგუფი მიიჩნევს რომ მოცემული მეთოდის გამოყენებით უკეთ არის შესაძლებელი იმ ანაზღაურების ოდენობის პროგნოზირება, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს.

ჯგუფი მოსალოდნელი ოდენობის მეთოდით შეფასებულ ცვალებად ანაზღაურებას გარიგების ფასში ნაწილობრივ ან სრულად რთავს მხოლოდ იმის გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით არის თუ არა მოსალოდნელი, რომ შემდგომში, ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის პრობლემის გადაჭრის დროს, დაგროვილი აღიარებული ამონაგების სიდიდე მნიშვნელოვნად არ შემცირდება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

„თაროზე განთავსების საკომისიო“ წარმოადგენს საცალო ვაჭრობის ქსელში პროდუქციის შეტანის სანაცვლოდ მომხმარებლებისთვის გადასახდელ ანაზღაურებას. ჯგუფი მომხმარებლებისთვის გადასახდელ ანაზღაურებას ასახავს, როგორც გარიგების ფასის და, მაშასადამე, ამონაგების შემცირებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მომხმარებლისთვის გადახდა ხორციელდება მომხმარებლის მიერ საწარმოსთვის გადაცემული განსხვავებული საქონლის ან მომსახურებისთვის. როდესაც მომხმარებლისთვის გადასახდელი ანაზღაურება მოიცავს ცვალებად თანხას, ჯგუფი მოსალოდნელი ოდენობის მეთოდით განსაზღვრავს გარიგების ფასს.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

2.7 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების აღიარდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

2.8 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
შენობა-ნაგებობები	20-25
მანქანა-დანადგარები	4-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-12
ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	3-10
სხვა	2-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

2.10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 2-25 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.11 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.12 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწრის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწრა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწრის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.13 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.14 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), ჯგუფი ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფი ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ჯგუფი ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) ჯგუფი ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და გაცემულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში

აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

2.15 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება შენატანების რეალური ღირებულებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.16 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 ანარიცხები სასამართლო დავებისთვის.

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის ხელმძღვანელობამ განახორციელა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში რეკლასიფიკაცია. გაცემული სესხები საბალანსო ღირებულებით 1,590 ათასი ლარი, შესადარის პერიოდში წარდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე წლის წარდგენა უკეთესად ასახავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ამონაგები და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

ამონაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ლუდის და სხვა არაალკოჰოლური პროდუქციის რეალზაცია	87,834	75,044
ბეტონის და ბეტონპროდუქტების რეალიზაცია	30,249	27,614
სულ	118,083	102,658

მნიშვნელოვანი ბაზრების მიხედვით 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მიღებული ამონაგები ნაწილდება შემდეგნაირად:

	2018	2017
საქართველო	106,043	98,196
დსთ-ს ქვეყნები	11,486	3,501
სხვა	554	961
სულ	118,083	102,658

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ლუდის და სხვა არაალკოჰოლური პროდუქციის თვითღირებულება	(49,540)	(36,890)
ბეტონის და ბეტონპროდუქტების თვითღირებულება	(26,023)	(22,937)
სულ	(75,563)	(59,827)

6. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
რეკლამის ხარჯი	(5,898)	(8,366)
ცვეთა და ამორტიზაცია	(4,380)	(3,083)
ტრანსპორტირების ხარჯი	(3,317)	(1,448)
ხელფასი	(1,472)	(1,118)
როიალტი	(1,446)	(1,587)
სულ	(16,513)	(15,602)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,253)	(5,436)
ხელფასი	(5,038)	(4,506)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(989)	(972)
კომუნალური ხარჯი	(891)	(673)
პროფესიული მომსახურება	(764)	(796)
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯი	(367)	(316)
საბანკო ხარჯი	(273)	(134)
დაზღვევის ხარჯი	(203)	(228)
დაცვის ხარჯი	(172)	(165)
სხვა ხარჯები	(1,431)	(920)
სულ	(15,381)	(14,146)

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

8. წმინდა საპროცენტო ხარჯი

წმინდა საპროცენტო ხარჯი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	-	315
საპროცენტო ხარჯი	(3,727)	(2,923)
სულ	(3,727)	(2,608)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ტრანსპორტი	ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	სულ
31.12.2016	4,143	23,481	106,019	12,990	1,282	13,955	161,870
შემოსვლა	168	43	5,072	401	72	4,332	10,088
გასვლა	-	-	(90)	(3)	-	(208)	(301)
შიდა რეკლასიფიკაცია	-	169	17,810	-	-	(17,979)	-
31.12.2017	4,311	23,693	128,811	13,388	1,354	100	171,657
შემოსვლა	24	6	9,169	2,899	102	5,237	17,437
გასვლა	(59)	-	(144)	(514)	-	-	(717)
შიდა რეკლასიფიკაცია	-	1,533	1,429	-	-	(2,962)	-
31.12.2018	4,276	25,232	139,265	15,773	1,456	2,375	188,377

დაგროვილი ცვეთა

31.12.2016	-	(5,716)	(55,212)	(10,302)	(1,157)	-	(72,387)
ცვეთა	-	(1,084)	(8,422)	(992)	(73)	-	(10,571)
გასვლა	-	-	14	1	-	-	15
31.12.2017	-	(6,800)	(63,620)	(11,293)	(1,230)	-	(82,943)
ცვეთა	-	(1,122)	(9,821)	(958)	(64)	-	(11,965)
გასვლა	-	-	59	248	-	-	307
31.12.2018	-	(7,922)	(73,382)	(12,003)	(1,294)	-	(94,601)

წმინდა საბალანსო

ღირებულება

31.12.2017	4,311	16,893	65,191	2,095	124	100	88,714
31.12.2018	4,276	17,310	65,883	3,770	162	2,375	93,776

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ცვეთის ხარჯს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შესაბამისად 2,195 ათასს და 2,010 ათას ლარს. უზრუნველყოფაში ჩადებული ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 14-ში.

10. კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიცია

2017 წლის 25 დეკემბერს ჯგუფმა დააარსა ახალი კომპანია შპს რითეილ ინვესტმენტსი (მეკავშირე საწარმო). ჯგუფმა განახორციელა 3,801 ათასი ლარის ინვესტიცია, რომლითაც გახდა შპს რითეილ ინვესტმენტსის აქციების და ხმების 33,4% მფლობელი. 2017 წლის განმავლობაში მეკავშირე საწარმოს არ ქონია რაიმე სახის აქტივობა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციიდან ჯგუფმა მიიღო 672 ათასი ლარის ოდენობის ზარალი.

10 - 36 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

11. მარაგები

მარაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ნედლეული და შესაფუთი მასალები	10,011	9,328
მზა პროდუქცია	4,366	3,306
დაუმთავრებელი წარმოება	2,396	3,095
სხვა მარაგები	4,608	4,006
ჩამორთმეული აქტივები	458	458
სულ	21,839	20,193

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	21,803	20,937
გაცემული სესხები	1,882	1,882
სხვა მოთხოვნები	388	483
სულ ფინანსური მოთხოვნები	24,073	23,302
საექვო ვალების რეზერვი	(10,349)	(8,999)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	13,724	14,303
სხვა გადახდილი ავანსები	5,908	4,205
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	15	12
სულ არაფინანსური მოთხოვნები	5,908	4,205
წმინდა მოთხოვნები	19,647	18,520

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება და მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის ანარიცხი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გაუფასურები ს განაკვეთი	31.12.2018	გაუფასურებ ა 31.12.2018	31.12.2017	გაუფასურებ ა 01.01.2018
გაცემული სესხები	15.5%	1,882	(292)	1,882	(292)
დაკავშირებული მხარეები		1,967	(1,633)	1,789	(1,382)
მიმდინარე	1%	11,121	(111)	6,283	(63)
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	5%	257	(13)	4,764	(238)
31-90 დღის ვადაგადაცილება	15%	517	(78)	78	(12)
91-180 დღის ვადაგადაცილება	30%	132	(40)	310	(93)
181-365 დღის ვადაგადაცილება	60%	38	(23)	76	(46)
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	100%	8,159	(8,159)	8,120	(8,120)
სულ		24,073	(10,349)	23,302	(10,246)
გაუფასურების რეზერვი		(10,349)		(8,999)	
წმინდა მოთხოვნები		13,724		14,303	

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ბალანსი წლის დასაწყისში	(8,999)	(8,554)
ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი	(1,247)	-
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(103)	(445)
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(10,349)	(8,999)

ჯგუფი ფასს 9-ზე გადასვლისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და სახელშეკრულებო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სახელშეკრულებო აქტივებს აქვს სავაჭრო მოთხოვნების მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი საქმიანობს.

ჯგუფს აქვს გაცემული სესხი დაკავშირებულ მხარეზე. ხელშეკრულების პირობის მიხედვით, სესხი უნდა დაფარულიყო 2018 წლის 31 დეკემბერს. ჯგუფმა 2018 წლის 26 დეკემბერს განაახლა სესხის ხელშეკრულების პირობები და სესხის ხელშეკრულების დასრულების თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 31 დეკემბერი. ხელმძღვანელობამ განიხილა სესხის მიმდების ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი ნაკადების მოძრაობა და მიიჩნევს, რომ სესხის საწყისი აღიარების შემდეგ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	757	1,186
მოთხოვნამდე ანაბარი ბანკში	7,800	-
ფული სალაროში	2	14
სულ	8,559	1,200

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

14. სესხები

სესხები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	11,954	20,575
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	8,344	11,207
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები	24,750	-
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	-	1,543
სულ გრძელვადიანი სესხები	45,048	33,325

მიმდინარე	2018	2017
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	7,273	16,827
გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებები	3,480	4,440
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	-	296
არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები	76	-
ჯარიმები	-	344
სულ სესხების მიმდინარე ნაწილი	10,829	21,907
სულ სესხები	55,877	55,232

ფინანსური ოპერაციებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
31 დეკემბერი 2016	55,232	54,913
სესხების აღება	111,136	5,490
ობლიგაციების გამოშვება	24,750	-
საპროცენტო ხარჯი	3,727	2,923
ძირითად საშუალების შეძენა	1,176	-
სესხის დაფარვა	(134,981)	(9,342)
გადახდილი პროცენტი	(4,571)	(2,659)
ჯარიმის პატიება	(344)	-
საკურსო სხვაობის გავლენა	(248)	3,907
31 დეკემბერი 2017	55,877	55,232

ჯგუფის მიერ მიღებული სესხების ხელშეკრულებები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს. ძირითადი ფინანსური შეზღუდვას წარმოადგენს მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებასთან არ უნდა იყოს 100% ნაკლები. ჯგუფი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ კოეფიციენტს. კოეფიციენტის დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს სესხების სრული ან ნაწილობრივ დაფარვა ვადაზე ადრე, შესაბამისად მიღებული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია მიმდინარე ვალდებულებებში. აღნიშნული სესხების საბალანსო ღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 727 და 13,663 ლარს.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები, საბალანსო ღირებულებით შესაბამისად, 82,745 ათასი და 76,588 ათასი ლარით და მარაგები 17,808 ათასი და 15,112 ათასი ლარი წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები, საბალანსო ღირებულებით შესაბამისად, 10,869 ათასი და 11,963 ათასი ლარით წარმოადგენდა გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებების უზრუნველყოფას.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

14. სესხები (გაგრძელება)

2018 წლის დეკემბერში ჯგუფმა მოახდინა ლარში ნომინირებული ობლიგაციების გამოცემა, განთავსება და დარეგისტრირება საქართველოს საფონდო ბირჟაზე. შედეგად, ჯგუფმა გამოუშვა 25 მილიონი ლარის ღირებულების არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები, რომლის საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს 4% დამატებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთი. ობლიგაციების მთლიანი ძირი თახნის გადახდა მოხდება ვადის ამოწურისას 2023 წელს.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	11,483	9,734
სხვა ვალდებულება	205	875
გადასახდელი ხელფასები	66	39
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,754	10,648
არაფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	494	507
სახელშეკრულებო ვალდებულება	6,352	7,017
სულ არაფინანსური ვალდებულებები	6,846	7,524
სულ	18,600	18,172

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებული ამონაგები, რომელიც მოიცავს შესადარის პერიოდში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
1 იანვარი	7,017
სახელშეკრულებო ვალდებულების საწყისი ნაშთიდან აღიარებული ამონაგები	
გადასახადის გარეშე	(691)
სახელშეკრულებო ვალდებულებიდან აღიარებულ ამონაგებთან დაკავშირებული	
გადასახადი	(124)
მიღებული ავანსი, რომლისთვისაც არ აღიარებულა ამონაგები მიმდინარე	
პერიოდში გადასახადის ჩათვლით	150
31 დეკემბერი	6,352

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

16. არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილი შვილობილ კომპანიაში მოიცავს სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ არსებულ წილებს. აღნიშნული ინვესტიცია კომპანიამ შეიძინა 2011 წელში და მისი მოცულობა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 35,889,945 სრულად ანაზღაურებულ და 13,647,653 არაანაზღაურებულ აქციას. ინვესტიციის პროცენტული ოდენობა იყო 70%. 1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. ინვესტორებს 2016 წლის 20 დეკემბრამდე ჰქონდათ აქციების ანაზღაურების უფლება, რაც არ გამოიყენეს, რის გამოც კომპანიამ შეამცირა სააქციო კაპიტალი და მოხდა არსებული წილების პროპორციული გადანაწილება, რის გამოც წილობრივი მოცულობა შემცირდა 63.5%-მდე. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამაკონტროლებელი წილი ფლობდა 36,5%-ს.

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ შემაჯამებელი ფინანსური ინფორმაცია 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2018	2017
ამონაგები	87,834	75,044
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(49,540)	(36,890)
საერთო მოგება	38,294	38,154
კომერციული ხარჯები	(16,513)	(15,602)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(12,593)	(11,226)
გაუფასურების ზარალი	(103)	(445)
სხვა შემოსავალი	1,018	15
საოპერაციო მოგება	10,103	10,896
წმინდა საპროცენტო ხარჯი	(2,701)	(1,686)
კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებიდან ზარალი	(672)	-
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	505	(4,387)
წმინდა მოგება	7,235	4,823
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სრული შემოსავალი	7,235	4,823
წმინდა მოგება მიკუთვნებული არამაკონტროლებელ წილს	2,641	1,760
გადახდილი დივიდენდი	-	-

ინფორმაცია ფულადი ნაკადების შესახებ 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	11,285	10,523
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(19,775)	(8,873)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	15,923	(2,434)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	7,433	(784)

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

16. არამაკონტროლებელი წილი (გაგრძელება)

ინფორმაცია აქტივების და ვალდებულებების შესახებ 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	82,395	76,980
არამატერიალური აქტივები	95	114
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	3,069	49
კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები	2,773	3,801
მარაგები	17,808	15,112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,113	14,825
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,483	1,050
სულ აქტივები	131,736	111,931
ვალდებულებები	2018	2017
სესხები	30,768	39,386
გადასახდელები კაპიტალ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციებისთვის	-	3,888
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,766	8,717
სულ ვალდებულებები	30,768	39,386

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	13,724	14,303
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,559	1,200
სულ ფინანსური აქტივები	22,283	15,503

	2018	2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,754	10,648
სესხები	55,877	55,232
სულ ფინანსური ვალდებულებები	67,631	65,880

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების დისკონტირებული ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხების და ობლიგაციების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის და ობლიგაციებისთვის მერყეობს 7%-დან 14%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

გაცემული სესხების მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 10%-დან 15%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა დებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018		2017	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	992	2,647	684	2,306
სესხები	568	30,483	13,658	41,475
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,560	33,130	14,342	43,781
წმინდა ფინანსური პოზიცია	(1,560)	(33,130)	(14,342)	(43,781)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა 2018 და 2017 წლის წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2018	(312)	312	(6,626)	6,626
მოგება/(ზარალი) 2017	(2,868)	2,868	(8,756)	8,756

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციები. ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ობლიგაციები დენომინირებულია ლარში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

	2018	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი)	(250)	250

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფს საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმწელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	13,724	14,303
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,557	1,186
სულ	22,281	15,489

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ 2018
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,754	-	-	11,754
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	15,047	57,552	31	72,630
სულ ფინანსური ვალდებულებები	26,801	57,552	31	84,384

მიქსორი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

17. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ 2017
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,648	-	-	10,648
პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	12,206	46,749	3,626	62,581
სულ ფინანსური ვალდებულებები	22,854	46,749	3,626	73,229

*ლიკვიდურობის ანალიზში ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებულ სესხებზე გადასახდელი მომავალი დაუდისკონტირებელი ფულადი ნაკადები მოცემულია იმ დაშვებით, რომ სესხის გამცემი არ გამოიყენებს სესხის სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დავარვის უფლებას ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტების დარღვევის გამო. დამატებით იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 14.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2018	დამფუძნებელი	მეკავშირე საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	1,967	1,967
გაცემული სესხები	-	-	1,882	1,882
საექვო ვალდების რეზერვი	-	-	(1,925)	(1,925)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	-	-	1,924	1,924
სავაჭრო ვალდებულებები	-	522	-	522
ამონაგები	-	-	725	725
გაყიდული პროდუქციის				
თვითღირებულება	-	-	(605)	(605)
სხვა შემოსავალი	-	-	255	255
შესყიდვები	-	920	-	920
საპროცენტო ხარჯი	(123)	-	-	(123)

31 დეკემბერი 2017	დამფუძნებელი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	სულ 2017
სავაჭრო მოთხოვნები	-	1,789	1,789
გაცემული სესხები	-	1,882	1,882
საექვო ვალდების რეზერვი	-	(1,674)	(1,674)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	-	1,997	1,997
სავაჭრო ვალდებულებები	-	303	303
სესხები	1,839	-	1,839
ამონაგები	-	590	590
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-	(298)	(298)
სხვა შემოსავალი	-	163	163

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენდა შესაბამისად 1,480 და 1,250 ლარს.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფმა აიღო სესხი ჯამური თანხით 1,813 ათასი ლარი.



მიქსორი ჯგუფი

2018 წლის მმართველობისა და კორპორაციული
მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებასთან
ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად	და მოთხოვნების 3
--	------------------------

2018 წლის მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება

1. ჯგუფის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები	4
2. კომპანიის სტრატეგია და მიზნები.....	5
3. ჯგუფის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა	6
4. ჯგუფის მმართველობა და სტრუქტურა	6
5. გარემოს დაცვა	7
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	8
7. კორპორაციული მართვა	9
8. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „მიქსორის“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 24 ივლისს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

3 ოქტომბერი, 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „მიქსორის“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 24 ივლისს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციას და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

3 ოქტომბერი, 2019



1. ჯგუფის საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

შპს „მიქსორი“ (შემდგომში ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2008 წლის 11 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ხანძთელის ქუჩა #1. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის რკინა-ბეტონის პროდუქტების წარმოება და წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მფლობელები	2018	2017
ცეზარ ჩოჩელი	42.12%	50%
იზოლდა ჩარიგოგდიშვილი	42.13%	50%
შპს ქისტოუნ ინვესტმენტს	15,75%	-

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	2018	2017	საოპერაციო საქმიანობა
სს ქართული ლუდის კომპანია	საქართველო	63.5%	63.5%	ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმლის წარმოება და რეალიზაცია
შპს მიქსორცემენტი	საქართველო	100%	100%	უმოქმედო
შპს ინფრა კონსტრუქშენ	საქართველო	50%	50%	უმოქმედო
მიქსორი	საქართველო	50%	-	უმოქმედო
შპს ისანი XXI	საქართველო	50%	-	უმოქმედო

2008 წელს მიქსორმა ქვიშისა და ღორღის წარმოება დაიწყო, რასაც მოკლე ვადაში ავჭალაში ბეტონის თანამედროვე ქარხნის აშენება მოჰყვა. დაარსებიდან რამდენიმე თვეში, მიქსორს უკვე ჰქონდა მაღალი სტანდარტის ბეტონის ქარხანა, თანამედროვე ლაბორატორიითა და უახლესი მძიმე ტექნიკით.

2010 წელს კომპანია მიქსორმა 100% წილით შეისყიდა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“, რომელიც რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტირებით ამიერკავკასიაში ერთ-ერთ საუკეთესო რკინაბეტონის კონსტრუქციების მწარმოებელ ქარხანად იქცა. 2016 წლის 22 აპრილს მიქსორმა შეირჩია რკინაბეტონის შპალის ქარხანა და დღეს ორივე საწარმო ერთი ბრენდის ქვეშ ფუნქციონირებს.

სს „ქართული ლუდის კომპანია“ დაარსდა 2011 წელს და უკვე 2012 წლის მარტში წარადგინა თავისი პროდუქცია ქართულ ბაზარზე. ქარხანა შექმნილია თანამედროვე გერმანულ და ჩეხურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით და აღჭურვილია თანამედროვე ევროპული ტექნიკით. კომპანიას აქვს დივერსიფიცირებული პორტფელი, რომელიც მოიცავს ლუდსა და უალკოჰოლო სასმელებს. ხდება როგორც ადგილობრივი, ისე ლიცენზირებული ბრენდების წარმოება.

სს „ქართული ლუდის კომპანიის“ ძირითადი პროდუქტებია:

- ლუდის ადგილობრივი ბრენდები: „ზედაზენი“, „სვიანი“, და ა.შ.;
- ლუდის ლიცენზირებული ბრენდები: „ბავარია“, „ჰოლსტენი“, „ჰარპი“, „რაგნარი“ და ა.შ.;
- ლიმონათი „ზედაზენი“ სხვადასხვა გემოთი (მსხალი, ლიმონი, ტარხუნა და ა.შ.);
- ნატურალური წვენი „ჩერო“-ს სხვადასხვა სახეობა (ფორთოხალი მანდარინით, ალუბალი, ბროწეული და ა.შ.);
- RC კოლა (კოლას ტიპის სასმელი); - ენერგეტიკული სასმელები („რედ რეინი“, „უაილდერი“);
- ცივი ჩაი სხვადასხვა არომატით.

კომპანიის პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით ქსელურ და უბნის/ტრადიციულ მაღაზიებში, რესტორნებსა და კაფეებში. კომპანიის პროდუქციის დისტრიბუცია ხორციელდება სხვადასხვა სადისტრიბუციო კომპანიის საშუალებით.

ჯგუფის უმთავრესი ამოცანა ქართულ ბაზარზე საერთაშორისო სტანდარტისა და ხარისხის დამკვიდრებაა.

2. კომპანიის სტრატეგია და მიზნები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე. ჯგუფის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში.

ჩვენი მიზანი მომხმარებლის ნდობის გამართლება, შენარჩუნება და გაზრდაა.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ჯგუფი ორიენტირებულია მომავალზე და სურს უფრო მეტი საინტერესო გააკეთოს როგორც თავის ინდუსტრიაში, ისე მთლიანად საქართველოს ეკონომიკაში. ჯგუფი გეგმავს თავისი პორტფელის კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას, რათა თავის მომხმარებლებს მისცეს ფართო არჩევანის საშუალება.

მიმდინარე შექმნილი ვითარებიდან, რაც გულისხმობს ლარის დევალვაციას და მასთან დავაშირებულ ხარჯების ზრდას, რამაც განაპირობა შპს მიქსორის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის და კონკრეტულად, ძირითადი პროდუქტის (სასაქონლო ბეტონის) თვითღირებულების თითქმის ყველა კომპონენტის ზრდა, კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილებაა კლინკერის გადამუშავება და საკუთარი ცემენტის წარმოება, რაც დაგვიბალანსებს თვითღირებულების გაძვირებას და უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

ასევე ვგეგმავთ მზა რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების და პროფილის გაფართოებას როგორც სხვადასხვა ინდუსტრიების მიმართულებით (სარკინიგზო, საგზაო, ინფრასტრუქტურული, სოფლის მეურნეობის, კერძო სამშენებლო სექტორის მიმართულებებით), რათა უზრუნველყოთ დივერსიფიცირება სექტორების მიხედვით და მეორეს მხრივ ავითვისოთ ის ბაზრის ნიშა, რომელიც მზარდი ტენდენციით ხასიათდება ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში. აღნიშნული პროექტებიდან გამოვყოფდით წინასწარ ჩამოსხმული რკინაბეტონის კონსტრუქციებით კერძო სახლების (1, 2 და 3 სართულიანი) აწყობა-მშენებლობას მთელი საქართველოს მასშტაბით.

სს ქართული ლუდის კომპანია გეგმავს თავისი პორტფელის კიდევ უფრო გამრავალფეროვნებას, რათა თავის მომხმარებლებს მისცეს ფართო არჩევანის საშუალება. ამისათვის, კომპანიაში მუდმივად ტარდება ადგილობრივი ბაზრის კვლევას, მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა გამოფენაში და განუწყვეტლივ ვატარებთ კვლევებს ჩვენსავე ლაბორატორიაში.

კომპანიის წარმადობის არსებული რესურსი იძლევა საშუალებას, რომ კომპანიმ გაზარდოს ექსპორტი სხვადასხვა ქვეყანაში. კომპანია მუდმივად იზრდება ამ მიმართულებით, თუმცა გეგმავს ზრდის ტემპების დაჩქარებას.

სს ქართული ლუდის კომპანია აპირებს განვითარებას ჰორეკას მიმართულებით, რაც გულისხმობს ახალი ჩამოსახმელი ლუდების დამატებას, რომელიც განკუთვნილი იქნება რესტორნებისთვის და აღსანიშნავია რომ ბაზრის საკმაოდ დიდი წილი უკავია სწორედ ამ მიმართულებას. კომპანია ასევე გეგმავს რამოდენიმე სახეობის ლუდის იმპორტის დაწყებას და ადგილობრივი ბრენდების დამატებას, რაც სს ქართული ლუდის კომპანიას კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და ბაზრის წილის ზრდაში დაეხმარება.

კომპანიამ ჩამოაყალიბა მყარი პროფესიონალური ურთიერთობები მომხმარებლებთან, რაც გამოიხატა ერთჯერადი მომხმარებლის მუდმივ მომხმარებლად გადაქცევაში და მოზრუნებული საქონლისა და უკმაყოფილო მომხმარებლების შემცირებულ რაოდენობაში. კომპანია თანამშრომლობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ მომწოდებლებთან, რომელთანაც სანდო პარტნიორის სტატუსით სარგებლობს. კომპანიის მენეჯმენტი სათანადო ყურადღებას უთმობს კრედიტორებთან ურთიერთობას და ცდილობს მათ სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს კომპანიის მიმდინარე და მოსალოდნელი ფინანსური და არაფინანსური შედეგების შესახებ.

3. ჯგუფის ძირითადი მიღწევები და ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ჯგუფის პროდუქცია იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით, გამონაკლისია სამშენებლო ბეტონი, რომლის რეალიზაცია ხდება მხოლოდ თბილისსა და მის შემოგარენში.

ჯგუფის შემოსავლების ტრენდი არის აღმავალი. 2018 წელს შემოსავალი გაიზარდა 15%-ით 2017 წელთან შედარებით, რაც ძირითადად განპირობებულია ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმელების რეალიზაციით. ჯგუფის შემოსავლების და საოპერაციო მოგების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ფინანსური ანგარიშგებაში.

კომპანიის მომგებიანობა 2018 და 2017 წელს სხვადასხვა მაჩვენებლებით იყო შემდეგი:

000“ ლ	2018	2017	% ცვლილება
მთლიანი შემოსავალი	118,328	102,752	15%
საერთო მოგება	42,520	42,831	-1%
გაყიდვების %	36%	42%	
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	12,137	12,963	-6%
გაყიდვების %	10%	13%	

დაგროვილ მოგებას ჯგუფი იყენებს რეინვესტირებისთვის, რათა გაზარდოს წარმოება, გააძრავა ღირებულების შემოთავაზებული პროდუქციის პორტფელი, დაამატოს ახალი მიმართულებები და ა.შ.

სს ქართული ლუდის კომპანია - ლუდის ბაზარი საქართველოში საკმაოდ აქტიურია, თუმცა, ბაზრის ზრდა ბოლო წლებში შენელებულია. ბაზარმა პიკს 2014 წელს მიაღწია, მაგრამ აქციზის გადასახადის ზრდასთან ერთად (გაიზარდა 0.40 ლარიდან 0.60 ლარამდე ლიტრზე) ბაზარი შემცირდა და დღემდე არ მიუღწევია 2014 წლის შედეგისთვის.

კომპანიამ ბაზარზე გამოჩენისთანავე საკმაოდ წარმატებულად დაიწყო საქმიანობა. პირველ წელს აიღო დაახლოებით ლუდის ბაზრის 5%, დღეს კი უკვე ბაზრის ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება.

არალკოჰოლური სასმელების ბაზარი მრავალფეროვანია და ჯერ კიდევ გაჯერებულია. ჯგუფის მონაცემებით ბაზარზე არსებული სიტუაცია არის შემდეგი: გაზიან სასმელებში ლიმონათი კარგავს ბაზრის წილს თითქმის ყოველწლიურად, თუმცა იზრდება კოლას გაყიდვები. წველების ბაზარი შედარებით მცირეა მთლიანად უალკოჰოლო სასმელების ბაზარზე.

4. ჯგუფის მმართველობა და სტრუქტურა

შპს „მიქსორი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა

მიქსორი ჯგუფი

2018 წლის მმართველობისა და კორპორაციული მართვის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2008 წლის 11 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელები	31.12.2018	01.01.2018
ცეზარ ჩოჩელი	42.12%	50%
იზოლდა ჩარიგოგდიშვილი	42.13%	50%
შპს ქისტოუნ ინვესტმენტს	15,75%	-

სს ქართული ლუდის კომპანიის აქციონერებს შპს მიქსორის გარდა წარმოადგენენ:

შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ (GIG)-24.11%- GIG-ს გააჩნია ინვესტიციების დივერსიფიცირებული პორტფელი, რომელშიც უდიდესი წილი ენერგეტიკის სფეროს უკავია. ჯგუფი აქტიურია ელექტრო-ენერგიის გენერაციასა და ვაჭრობაში, ქვანახშირის მოპოვებაში, ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და გაზ-გასამართის ადგურების ოპერირებაში.

შპს „პსკ ფარმა“ 12.39%- პსკ არის ერთ-ერთი წამყვანი ფარმაცევტული კომპანია საქართველოში, რომელსაც უკავია ფარმაცევტული ბაზრის დაახლოებით 22%.

ჯგუფის მმართველობითი სტრუქტურა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- ა) ადამიანური რესურსების მართვის, ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება;
- ბ) ფინანსური განყოფილება;
- გ) გაყიდვების განყოფილება;
- დ) მარკეტინგის განყოფილება;
- ე) წარმოების განყოფილება;
- ზ) ადმინისტრაციული განყოფილება;

ჯგუფის მენეჯმენტისთვის ერთერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს კომპანიებში დასაქმებულ თანამშრომლებზე ზრუნვა. გარდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა ჯგუფი ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეუქმნას მომუშავე პერსონალს. კერძოდ, ჯგუფის თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით, ასევე, თანამშრომლები სარგებლობენ მენეჯმენტის მიერ შემუშავებული საბონუსე სისტემით.

სს ქართული ლუდის კომპანია ექვემდებარება გარკვეულ საკანონმდებლო შეზღუდვებს, რადგან აწარმოებს საკვებ პროდუქტს. შესაბამისად, კომპანია ვალდებულია დაიცვას გარკვეული საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასთან. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სხვადასხვა ტექნიკური რეგულაციები, რომლებიც შესაბამისია კომპანიის ბიზნეს-საქმიანობისთან. ძირითადი სამართლებრივი ჩარჩოებია:

- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) საფუძველზე არსებული ვალდებულებები;
- ანტიმონოპოლიური რეგულაციები;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობა;
- საგადასახადო კოდექსი და მასთან არსებული რეგულაციები და ა.შ.

5. გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სს ქართული ლუდის კომპანიის

საქმიანობას, ძირითადად შეეხება: მყარი ნარჩენების მართვა - 2017 წელს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად, კომპანიამ შეიმუშავა მყარი ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს კომპანიის საქმიანობის უახლოეს სამწლიან პერიოდს და ადგენს საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, განთავსების, გაუვნებლობისა და ხელახალი გამოყენების წესებს, გარემოსდაცვითი წესების მოთხოვნების დაცვით. ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კონტროლი - 2017 წელს კომპანიის მიერ ასევე შემუშავებულ იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საწარმოს მიერ ემისიის პროცესში მავნე ნივთიერებათა ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები. წყლის რესურსებით სარგებლობა - სს „ქართული ლუდის კომპანია“, როგორც ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია, პროდუქციის ძირითად ნედლეულად იყენებს წყალს, რომელსაც მოიპოვებს ჭაბურღილებიდან, სახელმწიფოს მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე. აღნიშნული ლიცენზიების პირობების და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სამეწარმეო დანიშნულებით მოპოვებული წყლის რაოდენობის შესახებ კომპანია კვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. კომპანიას ჰყავს გარემოსდაცვითი მმართველი, რომელიც გარემოსდაცვითი მიმართულებით ზედამხედველობას უწევს კომპანიის ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და რეგულაციების შესრულებას.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კერძოდ, ყოველი თვის დასაწყისში ხორციელდება წინა თვის შედეგების შემოწმება და შედარება დაგეგმილ ბიუჯეტთან. ასევე ყოველთვიურად ტარდება მარაგების ინვენტარიზაცია.

ჯგუფის შიდა მონიტორინგის და გაყიდვების სამსახური დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ ჯგუფის მენეჯმენტს თავის მოსაზრებას.

ჯგუფის ძირითად რისკებად შეიძლება განიხილოს:

ჯგუფის შემოსავალი და შესაბამისად ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს სამშენებლო მასალების, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების გაყიდვაზე.

ჯგუფის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია (ძირითადად აშშ დოლარი). ამასთანავე, კომპანია შემოსავლების ძირითად ნაწილს ლარში იღებს. ლარის გაუფასურებამ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

მშენებლობის და საკვების უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიაზე. შეიძლება თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებასთან.

გადასახადების ზრდის რისკი - არსებობს რისკი, რომ მოხდეს ახალი გადასახადის დამატება, ამან კი უარყოფითი ასახვა ჰქონს ბაზარზე და საბოლოო ჯამში, ჯგუფზე. მაგალითად, როგორც ეს მოხდა 2014 წელს, როცა გაიზარდა აქციზი ლუდზე.

ბაზრის ზრდა შემცირებულია, ხოლო კონკურენცია იზრდება, რამაც შესაძლოა გაზარდოს კომპანიის ოპერირების ხარჯები და შეამციროს კომპანიის წმინდა მოგება.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს.

7. კორპორაციული მართვა

ჯგუფს, შექმნილი აქვს კორპორაციული მართვის კოდექსი საზოგადოების წესდების ფარგლებში, რომელიც მოიცავს კორპორაციული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს. 2016 წლის 20 დეკემბერს აქციონერთა კრების მიერ დამტკიცებული წესდება საჯაროა, კერძოდ განთავსებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ყველა თანმდევი ცვლილების ნახვა.

7.1 მმართველობის ორგანოები

წესდების თანახმად, საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის ფუნქციებს ასრულებს გენერალური დირექტორი.

7.2 საერთო კრება

წესდების თანახმად, კომპანიის აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მმართველობის უმაღლეს ორგანოს. აქციონერები მონაწილეობენ კომპანიის მართვაში აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების გზით. საერთო კრების უფლებამოსილებას განეკუთვნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორიც არის, მაგალითად, წესდებაში ცვლილებების შეტანა, კომპანიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, აქციონერის მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება, მოგების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და მათი ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა, დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების დამტკიცება, აუდიტორის არჩევა, კომპანიის ქონების შეძენა, გასხვისება (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებები) ან დატვირთვა, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას.

7.3 სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო არის შუალედური ხელმძღვანელობითი რგოლი. იგი ახორციელებს დირექტორის საქმიანობის კონტროლს და ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე. 2018 წლის ბოლომდე სამეთვალყურეო საბჭო შედგება პარტნიორთა კრების მიერ 1 წლის ვადით არჩეული 3 წევრისგან (2019 წლის იანვრიდან საბჭოს მეოთხე - დამოუკიდებელი წევრი შეემატა). კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:

- ცეზარ ჩოჩელი (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 06001000766) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

ცეზარ ჩოჩელი სამეწარმეო საქმიანობას 1991 წლიდან მოყოლებული ეწევა და გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ბიზნესში. ცეზარ ჩოჩელი იყო სს „ლომისის“ დამფუძნებელი, რომელიც მან საქართველოში წამყვან ლუდის მწარმოებლად აქცია. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში სს „ლომისმა“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლუდსახარში ააშენა ნატახტარში და ბაზრის 42%-იანი წილი დაიკავა. 2008 წელს მან სს „ლომისი“ EFES Pilsener-ის მწარმოებელ „ანადოლუ გრუპზე“ გაყიდა - ეს ტრანზაქცია იმ დროისთვის უდიდესი იყო საქართველოს კერძო სექტორში. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ბიზნესის გარდა მან აგრეთვე დაარსა ტკბილეულის ქარხანა „ბარამბო“, ხოლო 2009 წელს მისმა ბიზნესჯგუფმა მინორიტარად მიიღო მონაწილეობა კომპანია "ბერტას" დაარსებაში, რომელიც ამიერკავკასიაში საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და ჰიგიენური პროდუქტების პირველი და უმსხვილესი მწარმოებელია. ცეზარ ჩოჩელის მიერ დაფუძნებულმა სს „ქართული ლუდის კომპანიამ“ საქართველოში ყველაზე თანამედროვე ლუდსახარში ქარხნის მშენებლობა ზედაზენში 2011 წელს დაიწყო და მალევე ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 1991 წლიდან მოყოლებული, ცეზარ ჩოჩელისა და მისი ბიზნესჯგუფის მიერ დაფუძნებულ საწარმოებში 5 ათასამდე ადამიანი დასაქმებული.

- გიორგი ემირიძე (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 61001033571) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

გიორგი ემირიძე ჰოლდინგი „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ფინანსური დირექტორის მოადგილეა და სს „ქართული ლუდის კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2013 წლიდან. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფში“ იგი 2011 წლიდან მუშაობს და სხვადასხვა დროს იყო კორპორაციული ფინანსების და ხაზინის მართვის დეპარტამენტის უფროსი, უფროსი კორპორაციული ფინანსების ანალიტიკოსი, კორპორაციული ფინანსების ანალიტიკოსი და ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების სპეციალისტი. 2014-2015 წლებში იგი „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო. ბატონი გიორგი ემირიძეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი აქვს კავკასიის ბიზნეს სკოლისგან და მაგისტრის ხარისხი ALBA Graduate Business School-სგან.

- იაგო ჩოჩელი (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 06001000160) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი:

იაგო ჩოჩელი 1993 წლიდან არის ჩართული სამეწარმეო საქმიანობაში, იგი 1993-2002 წლებში იყო „ლომისის“ წარმოების დირექტორი, 2003-2005 წლებში „ლომისის“ დირექტორი, ხოლო 2005-2007 წლებში ლუდსახარში „ნატახტარის“ დირექტორი. 2009 წლიდან დღემდე იგი ტკბილეულის ქარხანა „ბარამბოს“ დირექტორია, ხოლო 2007-2008 წლებში შპს „ინტერპლასტის“ დირექტორი იყო. 2011-2012 წლებში იგი სს „ქართული ლუდის კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე იყო.

- საშა ტერნესი (გერმანიის მოქალაქე) - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი:

საშა ტერნესი 2019 წლის იანვრიდან იქნა არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად 1 წლის ვადით. მას აქვს განვითარებად ბაზრებზე მუშაობის 20 წელზე მეტი ხნის მენეჯერული გამოცდილება. ამჟამად მას უკავია უფროსი ვიცე-პრეზიდენტისა და ოპერაციების უფროსის პოზიციები კომპანიაში Blueorchard Finance Ltd.

სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი დანიშნულება კომპანიის ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფაა. სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს და ამოწმებს კომპანიის ფინანსურ დოკუმენტაციას, ქონებრივ ობიექტებს, კერძოდ, საზოგადოების სალაროს და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობას, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დირექტორისგან მოითხოვოს კომპანიის საქმიანობის ანგარიში, იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, საჭიროების შემთხვევაში, ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს აქციონერთა საერთო კრებას, ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორს.

შემდეგი საკითხები საჭიროებს „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას:

- საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას (დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორის ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ);
- დირექტორთა უფლებამოსილებების ფარგლების დადგენა;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- „კომპანიის“ აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების

შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

- ხელმძღვანელი პირებისთვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

- კომპანიის ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;

- იმ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად იღებს ანგარიშს კომპანიის მიერ შესრულებული ამოცანების,

ასევე, ფინანსური მდგომარეობის და არსებული რისკების შესახებ. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა კომპანიის მიერ კორპორაციული ობლიგაციების გამოშვება და საჯარო განთავსება.

7.4 ჯგუფის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

ილია შიხაშვილი შპს “ მიქსორის” დირექტორი 2016 წლის აპრილიდანაა, მანამდე რკინაბეტონის შპსების ქარხანაში იკავებდა დირექტორის პოზიციას. კახა კოტრიკაძე სს „ქართული ლუდის კომპანიის“ გენერალური დირექტორი 2016 წლის დეკემბრიდანაა. 2016 წლის აპრილიდან 2016 წლის დეკემბრამდე იგი „კომპანიის“ ფინანსური დირექტორის პოზიციას იკავებდა. კომპანიაში მოსვლამდე იგი 12 წელი მუშაობდა სხვადასხვა წამყვან პოზიციებზე სს „თიბისი ბანკში“, მათ შორის უფროსი მენეჯერის, უფროსი კორპორაციული ბანკირის და კორპორაციული ბანკირების ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციაზე. მას ასევე აქვს ნამუშევარი სს „პროკრედიტბანკ საქართველოში“ სასესხო ოფიცრის პოზიციაზე და „თბილავიამშენში“ ფინანსური მენეჯერის პოზიციაზე. კახა კოტრიკაძეს მიღებული აქვს ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხები ეკონომიკაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან.

7.5 აუდიტის კომიტეტი

2019 წელს სს „ქართული ლუდის კომპანიაში“ შეიქმნა აუდიტის კომიტეტი, რომელსაც უხელმძღვანელებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. კომპანიამ განახორციელა ადმინისტრაციული ცვლილებები, რის შედეგადაც კომპანიაში იგეგმება შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება აუდიტის კომიტეტთან. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქცია იქნება ზედამხედველობა გაუწიოს, ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას და ა.შ..

7.6 ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული კონტროლები

შიდა კონტროლი არის პროცესი რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- კომპანიის ოპერაციების ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- კომპანიის აქტივებისა და მონაცემების დაცვა;
- ფინანსური და სხვა ანგარიშგების სანდოობა;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა;
- რისკების აღმოჩენა და მართვა;
- კომპანიაში მიღებული პრაქტიკისა და ეთიკური ნორმების შესაბამისობა შესაბამის კოდექსთან და ნორმატიულ აქტებთან; და ა.შ..

კომპანიას გააჩნია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საკმაოდ დიდი ხნის პრაქტიკა. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში ძირითადი როლი უკავია ფინანსურ დეპარტამენტს, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალებით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებული შიდა კონტროლების პროცესები მოიცავს შემდეგს:

- კომპეტენტური და ეთიკური პერსონალი: კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი იმართება ფინანსური დეპარტამენტის მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი გამოცდილებისა და განთლების მქონე თანამშრომლებით. ისინი მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა კურსებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ მოხდეს უმცროსი თანამშრომლების მიერ მომზადებული სამუშაო ფაილების შესაბამისი გადახედვა და ხარისხის კონტროლი;
- ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა: თანამშრომლებზე ისეა განაწილებული ფუნქციამოვალეობები, რომ ერთსა და იმავე თანამშრომელს არ აქვს რომელიმე პროცესზე სრულად გავლენის მოხდენის საშუალება. თითოეულ პროცესში მონაწილეობს რამდენიმე დეპარტამენტი ისე, რომ აღსრულების და კონტროლის ფუნქციები მუდმივად გამიჯნულია ერთმანეთისგან;
- ძლიერი საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT): IT სისტემები, რომლებსაც კომპანია იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, კარგად ორგანიზებული და მართულია.

მუდმივად ხდება მათი სანდოობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე შემოწმება. უნდა აღინიშნოს რომ კონტროლის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა, შიდა აუდიტის დეპარტამენტის შექმნასთან ერთად რომელიც 2019 წელშია დაგეგმილი;

- კომპანიის აქტივების დაცვა: კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს აქტივების დაცვას და დანერგილი აქვს შემდეგი სახის კონტროლები: მარაგების და ძირითადი საშუალებების ფიზიკური აღწერა; შედარებები მნიშვნელოვან მომწოდებლებთან და კლიენტებთან. კომპანიის მთელი პერიმეტრი აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით და კონტროლდება დაცვის სამსახურის მიერ, და ა.შ.

8. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები

ობლიგაციების გამოშვება - 2018 წლის ბოლოს კომპანიამ გამოუშვა 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაცია. კომპანიამ ეს გააკეთა თავისი სავალუტო და ლიკვიდურობის პარამეტრების კიდეც უფრო გაჯანსაღების და ოპერაციებში და წარმოებაში ინვესტირების მიზნით.

საკრედიტო რეიტინგი - 2018 წლის 30 მარტს კომპანიამ პირველად მიიღო საკრედიტო რეიტინგი ევროპული საკრედიტო სააგენტო Scope Ratings GmbH-სგან. კომპანიის გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი არის “BB-/სტაბილური პერსპექტივით“, ხოლო არა-სუბორდინირებული, არა-უზრუნველყოფილი სესხების/ობლიგაციების რეიტინგი არის „BB“ (იგივე რეიტინგი აქვს მინიჭებული საქართველოს სახელმწიფოს). აღნიშნული რეიტინგი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საკრედიტო რეიტინგს საქართველოში მოღვაწე კერძო არასაბანკო კომპანიებს შორის. 2019 წელს კომპანიამ შეინარჩუნა წინა წელს მინიჭებული რეიტინგი.

სერთიფიკატები - 2018 წლის ივლისში კომპანიამ აიღო FSSC სერთიფიკატი. FSSC 22000 წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის სრული სერთიფიკაციის სქემას. იგი დაფუძნებულია ISO 22000 სტანდარტზე, რომელიც წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის გლობალურ სტანდარტს და ISO/TS 22002 სტანდარტზე, რომელიც გამიზნულია სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისათვის. 2019 წლის ივნისში ჩატარებული სასერთიფიკატო აუდიტის შედეგად შეინარჩუნა კომპანიამ. კომპანიას 2015 წელს მიღებული აქვს ISO 9001:2008 სერთიფიკატი, რაც ადასტურებს, რომ კომპანიას დანერგილი აქვს ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და მიწოდების ხარისხის მართვის სისტემა და 2016 წელს - ISO 22000:2005 სერთიფიკატი, ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების საკვების უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვის თაობაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

_____ ილია შიხაშვილი

მუდმივად ხდება მათი სანდოობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე შემოწმება. უნდა აღინიშნოს რომ კონტროლის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა, შიდა აუდიტის დეპარტამენტის შექმნასთან ერთად რომელიც 2019 წელშია დაგეგმილი;

- კომპანიის აქტივების დაცვა: კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს აქტივების დაცვას და დანერგილი აქვს შემდეგი სახის კონტროლები: მარაგების და ძირითადი საშუალებების ფიზიკური აღწერა; შედარებები მნიშვნელოვან მომწოდებლებთან და კლიენტებთან. კომპანიის მთელი პერიმეტრი აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით და კონტროლდება დაცვის სამსახურის მიერ, და ა.შ.

8. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები

ობლიგაციების გამოშვება - 2018 წლის ბოლოს კომპანიამ გამოუშვა 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაცია. კომპანიამ ეს გააკეთა თავისი სავალუტო და ლიკვიდურობის პარამეტრების კიდევ უფრო გაჯანსაღების და ოპერაციებში და წარმოებაში ინვესტირების მიზნით.

საკრედიტო რეიტინგი - 2018 წლის 30 მარტს კომპანიამ პირველად მიიღო საკრედიტო რეიტინგი ევროპული საკრედიტო სააგენტო Scope Ratings GmbH-სგან. კომპანიის გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი არის “BB-/სტაბილური პერსპექტივით“, ხოლო არა-სუბორდინირებული, არა-უზრუნველყოფილი სესხების/ობლიგაციების რეიტინგი არის „BB“ (იგივე რეიტინგი აქვს მინიჭებული საქართველოს სახელმწიფოს). აღნიშნული რეიტინგი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საკრედიტო რეიტინგს საქართველოში მოღვაწე კერძო არასაბანკო კომპანიებს შორის. 2019 წელს კომპანიამ შეინარჩუნა წინა წელს მინიჭებული რეიტინგი.

სერთიფიკატები - 2018 წლის ივლისში კომპანიამ აიღო FSSC სერთიფიკატი. FSSC 22000 წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის სრული სერთიფიკაციის სქემას. იგი დაფუძნებულია ISO 22000 სტანდარტზე, რომელიც წარმოადგენს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის გლობალურ სტანდარტს და ISO/TS 22002 სტანდარტზე, რომელიც გამიზნულია სურსათის მწარმოებელი ბიზნესოპერატორებისათვის. 2019 წლის ივნისში ჩატარებული სასერთიფიკატო აუდიტის შედეგად შეინარჩუნა კომპანიამ. კომპანიას 2015 წელს მიღებული აქვს ISO 9001:2008 სერთიფიკატი, რაც ადასტურებს, რომ კომპანიას დანერგილი აქვს ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და მიწოდების ხარისხის მართვის სისტემა და 2016 წელს - ISO 22000:2005 სერთიფიკატი, ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების საკვების უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვის თაობაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ილია შიხაშვილი